საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/102 "17" ივლისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. ფუტკარაძის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 26 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 1 ივლისს მიღებულ იქნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ფუტკარაძის განცხადება. 2020 წლის 17 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელდა კონსულტაციები ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებთან ნუგზარ მგელაძესა და გოჩა ფუტკარაძესთან. მოსამართლე ნ. მგელაძემ აღნიშნა, რომ იგი ერთი წლის განმავლობაში ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას, ხოლო ახლა მხარს უჭერდა გოჩა ფუტკარაძის კანდიდატურას როგორ ახალგაზრდა, ენერგიულ და გამოცდილ მოსამართლეს. გოჩა ფუტკარაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გოჩა ფუტკარაძე დაინიშნოს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ, 2020 წლის 20 ივლისიდან, 5 წლის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი